

შპს „გზაჯვარედინი“

2018 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31.12.2018</u>	<u>31.12.2017</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები ბანკში		350 714	881 713
სავაჭრო მოთხოვნები		1 245 149	1 285 257
გადახდილი ავანსები		105 420	1 689
მარაგები	3.1.	2 052 044	1 162 660
სხვა მიმდინარე მოთხოვნები		39 456	47 671
		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 792 784	3 378 990
ძირითადი საშუალებები	3.2.	2 122 923	1 675 630
არამატერიალური აქტივები	3.2.	19 544	4 063
სულ აქტივები		5 935 251	5 058 683
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		519 128	839 865
მიღებული ავანსები		88 145	10 159
საგადასახადო ვალდებულებები		163 941	222 236
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	14 580
ფინანსური ვალდებულებები	3.3.	603 311	652 630
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 374 525	1 739 471
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება		4 558 727	3 317 212
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5 935 251	5 058 683

დირექტორი _____ /ნიკოლოზ გაბელაია/

ბუღალტერი _____ /თამარ ჭოლაძე/

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2 018
განგრძობითი ოპერაციები:		
ამონაგები	3.4.	9 720 212
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(3 506 441)
საერთო მოგება		6 213 771
მიწოდების ხარჯები	3.5.	(2 019 483)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1 664 839)
ცვეთა და ამორტიზაცია		(249 854)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.6.	(721 473)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი		(73 160)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		1 484 962
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		(93 347)
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		(12 487)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.7.	30 525
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3.8.	(48 348)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1 361 305
მოგების გადასახადი		(4 219)
წლის (ზარალი)/მოგება		1 357 086
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		1 357 086

დირექტორი _____ /ნიკოლოზ გაბელაია/

ბუღალტერი _____ /თამარ ჭოლაძე/

შპს „გზაჯვარედინი“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 000	3 317 212	3 319 212
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1 357 086	1 357 086
განაწილებული დივიდენდი	-	(115 571)	(115 571)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 000	4 558 727	4 560 727

დირექტორი _____ /ნიკოლოზ გაბელაია/

ბუღალტერი _____ /თამარ ჭოლაძე/

ლარი	2 018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	10 973 305
გადახდილი გასამრჯელოები	(1 314 491)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(7 686 165)
გადახდილი გადასახადები	(1 561 389)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(514)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	410 746
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(699 221)
მიღებული პროცენტები	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(699 221)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
სესხის მიღება	513 407
მიღებული სესხის გადახდა	(571 464)
სესხის გაცემა	-
გაცემული სესხის დაბრუნება	-
გაცემული დივიდენდები	(109 793)
გადახდილი პროცენტები	(75 331)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(243 180)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	(531 655)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	881 713
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	657
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	350 714

დირექტორი _____ /ნიკოლოზ გაბელაია/

ბუღალტერი _____ /თამარ ჭოლაძე/

2018 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „გზაჯვარედინი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2004 წლის 10 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 206143298, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, გ. ლორთქიფანიძის ქ. #122. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

ნიკოლოზ გაბელაია (01024019005) – 50%

სვეტლანა ჩუბინიძე (01008035042) - 50%;

1.3. კომპანიის დირექტორები არიან:

აღმასრულებელი დირექტორი - ნიკოლოზ გაბელაია (01024019005)

დირექტორი - ანტონ ჩუბინიძე (01003014624).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მოძრაობის უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების წარმოება, რეალიზაცია და მომსახურება.

1.5. კომპანიას შვილობილი საწარმო არ ჰყავს

1.6. კომპანიის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია

წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. ყოველ ცალკეულ

შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საეჭვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების

გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი; 1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი 2019 წელს შეადგენდა:

1 USD=2.7789 ლარი; 1 EUR=3.1226 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

ლარი	31.12.2018	31.12.2017
ნდელეული და მასალები	2 035 180	1 148 621
მზა პროდუქცია	7 590	11 717
სხვა მარაგები	9 274	2 322
სულ მარაგები	2 052 044	1 162 660

3.2. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის	86 909	634 455	973 859	121 724	774 766	6 926	2 598 638
მდგომარეობით							
შესყიდვები	151 571	-	422 860	36 442	89 622	17 845	718 340
გასვლები	-	-	(7 975)	(24 364)	(16 880)	(3 687)	(52 906)
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	238 480	634 455	1 388 743	133 802	847 508	21 084	3 264 072
ცვეთა							
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის	-	(53 027)	(301 264)	(86 228)	(475 563)	(2 864)	(918 946)
მდგომარეობით							
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(15 572)	(154 311)	(13 420)	(65 149)	(1 402)	(249 854)
გასვლები	-	-	7 428	21 338	15 704	2 725	47 195
ცვეთის ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(68 600)	(448 147)	(78 310)	(525 008)	(1 540)	(1 121 604)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 1 იანვარს	86 909	581 427	672 595	35 496	299 203	4 063	1 679 693
2018 წლის 31 დეკემბერს	238 480	565 855	940 596	55 493	322 499	19 544	2 142 467

3.3. ფინანსური ვალდებულებები

ლარი	31.12.2018	31.12.2017
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი - ეროვნული ვალუტა	42 296	200 000
გრძელვადიანი სესხი - ეროვნული ვალუტა	212 824	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი - უცხოური ვალუტა	130 906	115 418
გრძელვადიანი სესხი - უცხოური ვალუტა	217 285	337 212
სულ ფინანსური ვალდებულებები	603 311	652 630

2018 წლის დასაწყისსა და ბოლოს არსებული სასესხო ფინანსური ვალდებულებები სრულად შედგება ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხებისგან, რომლებიც წარმოდგენილია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ამორტიზებული ღირებულებით.

3.4. ამონაგები

ლარი	2018
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	6 718 410
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3 001 801
სულ ამონაგები:	9 720 212

3.5. მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები

ლარი	2018
მომსახურების პირდაპირი დანახარჯი	2 011 996
მიწოდების სხვა ხარჯები	7 486
სულ მიწოდების ხარჯები:	2 019 483

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ლარი	2018
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	37 147
მივლინების ხარჯი	121 874
ტრანსპორტირების ხარჯი	670
კომუნალური ხარჯი	46 147
საოფისე და სხვა მცირეფასიანი ინვენტარი	25 843
გრძელვადიანი აქტივების ექსპლუატაცია	283 994
იჯარის ხარჯი	36
კომუნიკაციის ხარჯი	16 834
დაზღვევის ხარჯი	70 704
დაცვის ხარჯი	24 407
საგადასახადო ხარჯი	19 384
საბანკო ხარჯი	43 648
წარმომადგენლობითი ხარჯი	4 186
სხვა საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი	26 599
სულ ადმინისტრაციული ხარჯები:	721 473

3.7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ლარი	2018
ვალდებულების კორექტირებით (მ.შ. ჩამოწერით) მიღებული შემოსავალი	28 235
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2 291
სულ არასაოპერაციო შემოსავალი:	30 525

3.8. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

ლარი	2018
არასაოპერაციო ზარალი ძირ. საშუალებების გასვლიდან	5 711
ჯარიმები და პირგასამტეხლობები	42 633
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3
სულ არასაოპერაციო ხარჯი:	48 348

3.9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 31 ოქტომბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31.12.2018</u>	<u>31.12.2017</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები ბანკში		350 714	881 713
სავაჭრო მოთხოვნები		1 245 149	1 285 257
გადახდილი ავანსები		105 420	1 689
მარაგები	3.1.	2 052 044	1 162 660
სხვა მიმდინარე მოთხოვნები		39 456	47 671
		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 792 784	3 378 990
ძირითადი საშუალებები	3.2.	2 122 923	1 675 630
არამატერიალური აქტივები	3.2.	19 544	4 063
სულ აქტივები		5 935 251	5 058 683
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		519 128	839 865
მიღებული ავანსები		88 145	10 159
საგადასახადო ვალდებულებები		163 941	222 236
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	14 580
ფინანსური ვალდებულებები	3.3.	603 311	652 630
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 374 525	1 739 471
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება		4 558 727	3 317 212
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5 935 251	5 058 683

დირექტორი  /ნიკოლოზ გაბელაშვილი/


ბუღალტერი  /თამარ ჭოლაშვილი/

შპს „გზაჯვარედინი“

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2 018
განგრძობითი ოპერაციები:		
ამონაგები	3.4.	9 720 212
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(3 506 441)
საერთო მოგება		6 213 771
მიწოდების ხარჯები	3.5.	(2 019 483)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1 664 839)
ცვეთა და ამორტიზაცია		(249 854)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.6.	(721 473)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი		(73 160)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		1 484 962
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		(93 347)
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო		(12 487)
ოპერაციებიდან		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.7.	30 525
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3.8.	(48 348)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1 361 305
მოგების გადასახადი		(4 219)
წლის (ზარალი)/მოგება		1 357 086
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		1 357 086

დირექტორი  /ნიკოლოზ გაბელაშვილი/

ბუღალტერი  /თამარ ჭოლაძე/

შპს „გზაჯვარედინი“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 000	3 317 212	3 319 212
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1 357 086	1 357 086
განაწილებული დივიდენდი	-	(115 571)	(115 571)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 000	4 558 727	4 560 727

დირექტორი _____ /ნიკოლოზ გაბელაია/

ბუღალტერი ფ. _____ /თამარ ჭოლაძე/

შპს „გზაჯვარედინი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2 018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	10 973 305
გადახდილი გასამრჯელოები	(1 314 491)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(7 686 165)
გადახდილი გადასახადები	(1 561 389)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(514)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	410 746
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(699 221)
მიღებული პროცენტები	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(699 221)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
სესხის მიღება	513 407
მიღებული სესხის გადახდა	(571 464)
სესხის გაცემა	-
გაცემული სესხის დაბრუნება	-
გაცემული დივიდენდები	(109 793)
გადახდილი პროცენტები	(75 331)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(243 180)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	(531 655)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	881 713
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	657
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	350 714

დირექტორი _____ /ნიკოლოზ გაბელაია/

ბუღალტერი _____ /თამარ ჭოლაძე/